მ ი ს ი ა

კოლეჯი არსის მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მულტიპროფილური პროფესიული პროგრამების განხორციელება; ქვეყნის მასშტაბით, რეგიონსა და ადგილობრივ დონეზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება და გადამზადება, კარიერული და პიროვნული ზრდის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

კოლეჯი არსი ორიენტირებულია ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე და ხელს უწყობს რეგიონში კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირებას.

ხ ე დ ვ ა

კოლეჯი არსი ისწრაფვის 2032 წლისთვის ჩამოყალიბდეს რუსთავსა და ქვემო ქართლში ისეთ წამყვან, სანდო და ინოვაციურ მულტიფუნქციურ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც იქნება გამორჩეული თავისი ეკოსისტემით, ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური პერსონალით;

2032 წლისთვის დაგეგმილია იმ ნიშის ფორმირება, რომელიც ინოვაციური მიდგომებითა და დარგთან მჭიდრო პარტნიორობით უპასუხებს ციფრული სიახლეების გამოწვევებს;

ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი

1. გუნდურობა და კოლეგიალობა
2. ხარისხი და პროფესიონალიზმი
3. სტუდენტზე ორიენტირებულობა
4. თანამშრომლობა და პარტნიორობა
5. ინოვაცია და განვითარება
6. პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე